მცხეთა-მთიანეთში რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევა

ანი ქიმაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: kimadzeani@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში დახასიათებულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, როგორც განვითარების დონით ერთ-ერთი ჩამორჩენილი რეგიონი. ამ რეგიონს საქართველოს ტერიტორიის 9,2% უკავია და მასში ცხოვრობს მხოლოდ 109,7 ათასი კაცი. რეგიონი გამოირჩევა მცირე მოსახლიანი სოფლების სიმრავლით. რეგიონის მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია.

რეგიონის ბიზნესში მცირე ბიზნესს 30% უკავია. ნაშრომში მოცემულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის გამოკვლევა იმის შესახებ, აპირებენ თუ არა, ისინი წარმოიწყონ ბიზნესი საქართველოში და დარჩნენ საქართველოში თუ ფიქ-რობენ გაემგზავრონ საზღვარგარეთ. კვლევით დადგენილია, რომ იმის მიუხედავად, რომ რეგიონის სოფლებს აქვთ მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები – საოჯახო სასტუმროს გახსნა, ფუტკრის მომრავლება და სხვა, გამოკითხულ რესპო-დენტთა 34% ეხლავე მზადაა გაემგზავროს დასასქმებლად საზღვარგარეთ 58% კი, ჯერ-ჯერობით თავს იკავებს წასვლისგან. ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ მცხეთა-მთიანეთი ისედაც ნაკლებ დასახლებულია და თუ აქედან მოსახლეობა კიდევ წავიდა საზღვარგარეთ, მაშინ რეგიონი მტლიანად დაცარიელდება. ავტორი ურჩევს მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივ მთავრობას, რომ მიიღონ მიგრაციის შემაჩერებელი ღონის-ძიებები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი; მცირე ბიზნესი; მიგრაცია; მიგრაციული მზადება.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომლის დროსაც საქართველო დამოუ კიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, აქ განვითარებულმა ქაოსმა (მხედვე ლობაში გვაქვს ეთნოკონფლიქტები, სამოქალაქო ომი, კავშირების მოშლა სხვა რესპუბლიკებთან და ამის შედეგად მიღებული ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი), უმუშევრობამ და შიმშილმა, მეტად ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა საქართველოს მოსახლეობის მობილობას. ამას თავის მხრივ, დაემატა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყება, რაც გულისხმობდა საერთა შო რისო ბაზარში ჩასართავად საზღვრების გახსნას, ანუ ღია ეკონომიკის დაფუძნებას.

ამ მდგომარეობამ აიძულა ქართველი მოსახლეობა ჯერ თითო-ოროლათ, ხოლო შემდეგ, მასობრივად დაეწყო სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ ემიგ რაციაში წასვლა. ეს შეეხო მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც.

1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული მზაობის გამოკვლევა

საქართველოს მოსახლეობის ემირგაციული განწყობის შესამოწმებლად 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 7 დაბასა და ქალაქში (მცხეთა, დუშეთი, თიანეთი, ჟინვალი, სიონი, ფასანაური და სტეფანწმინდა) ჩავატარეთ მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევა. კვლევამ მოიცვა 80 ადამიანი, მ. შ. 30 კაცი და 50 ქალი. რესპოდენტთა ასაკი 15 წლიდან 70 წლამდე.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევის პირველი ეტაპი იყო კითხვარის შედგენა და რესპოდენტებისთვის დარიგება, მეორე – რესპოდენტებიდან პასუხების მიღება, მესამე – პასუხების დაჯგუფება, სტრუქტურიზება და გამაერთმნიშვნელიანი დასკვნების გამოტანა, მეოთხე – შეფასების ტექსტობრივი გაფორმება. გამოსვლამ მოგვცა ასეთი შედეგები:

კვლევის შედეგების შეჯამება გვიჩვენებს, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მზაობა ემიგრაციაში წასასვლელად საკმაოდ დიდია. გამოკვლეული მოსახლეობის 34% ეხლავე აპირებს ემიგრაციაში წასვლას, 58,5% – ჯერ-ჯერობით კიდევ თავს იკავებს წასვლისგან და მხოლოდ 7,5% საერთოდ არ აპირებს არსად წასვლას (იხ. ნახაზი 1). ეს ხდება რეგიონში, რომლის 90% მთიანია. მთის მოსახლეობა კი, როგორც ცნობილია, უფრო მეტად არის „მიმაგრებული" თავის მშობლიურ მიწასთან. რადგან, აქაც კი, ასეთი განწყობა ჩამოყალიბდა, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე რაღაც შემთხვევით მოვ ლენასთან არა გვაქვს.

გამოკითხულ რესპოდენტების 30% აშშ-ში ფიქრობს წასვლას და მზადაც არიან გადაიხადონ ის 20-25 ათასი აშშ დოლარი, თუ როგორმე მოახერხეს წასვლა. კითხვაზე – „თუ მატერიალური სიდუხჭირის გამო ტოვებთ საქართველოს, როგორ აპირებთ ასეთი კოლოსალური თანხის გადახდას"? – გვიპასუხეს, რომ ამისთვის ან სახლს დააგირავებენ (27%-ის პასუხი), ან ნათესავების გამოგზავნილით ისარგებლებენ (53,7%), რომელთა დახმარებით იქ სამსახურშიც მოეწყობიან და დასაქმების შემდეგ მათ ვალს გაისტუმრებენ.

იგივე პასუხები გვაქვს ევროკავშირის ქვეყნებში წასვლის მსურველებზე. ევროკავშირში გამოკითხულთა 23,7% სურს წასვლა, რუსეთში კი – 31%-ს. რუსეთს უპირატესობას ენის გამო აძლევენ და კიდევ, რუსეთში არსებული ძველი კავშირების გამო. ეს არ ეხება ახალგაზრდებს. მათი სამიზნე უმეტესწილად აშშ და ევროკავშირია.

გამოკითხულ რესპოდენტებს გამგზავრების ქვეყანა 4 ნიშნით აქვთ არჩეული:

- იქ არიან ჩემი ნათესავები (30%);
- იაფი ჯდება წასვლა (22,5%);
- ადვილია სამუშაოს შოვნა (26%);
- მაღალია შრომის ანაზღაურება (21,5%).

ემიგრაციაში წასასვლელად გამოკითხულთა 43,7%-ს მისაღებად მიაჩნია არალეგალური ფორმით წასვლაც, თუმცა, თავდაპირველად შეეცდება წავიდეს ლეგალური ფორმით.

წამსვლელთა 28,7%-მა ანუ 23 კაცმა წასვლის მიზეზად განათლების მიღება დაასახელა, 66,2%-მა – სიღარიბე და უმუშევრობა, 5,1%-მა ოჯახის წევრების იქ ცხოვრება (იხ. ნახაზი 2). როგორც ჩანს, მიზეზთა შორის სიღარიბე და უმუშევრობა დომინირებს. ეს მიზეზი ძირითადად დაასახელეს 25 წლის ზევით ასაკის რესპოდენტებმა. საკუთარი თავის გარდა, მათ უკან ოჯახებიც არის შესანახი და შემოსავლის არ ქონა მით უფრო მთიან რეგიონში, სადაც სავარგულებიც მცირეა და თანაც მწირი, ოჯახის უფროსს, ქალი იქნება იგი, თუ კაცი, სამუშაოს საძებნელად სხვაგან წასვლას აუცილებლად აფიქრებინებს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან გასამგზავრებლად გამზადებულთა 88,7%-მა არ იცის



ნახაზი 1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის ემიგრაციული მზაობა



ნახაზი 2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის ემირგაციული განწყობის მიზეზები

უცხო ენა, მაგრამ ამას არ თვლის ბარიერად. მათი 92,5% თვლის, რომ იქ რომ ჩავა, იმ ქვეყნის ენას ადვილად ისწავლის.

წამსვლელთა 56,3% ოჯახებში აპირებს მუშაობას მოხუცთა ან ბავშვის მომვლელად, 10% – მძღოლად, 20% – ხელოსნად. მათი 97,5% მზადაა შეასრულოს ნებისმიერი საქმე, რომელსაც შესთავაზებენ და მხოლოდ 2,5% აცხადებს, რომ თუ მას პროფილით არ შესთავაზებენ საქმეს, ისინი არ დარჩებიან იქ და უკან დაბრუნდებიან საქართველოში. ეს 2,5% არის ორი კაცი – ერთი მცხეთის მაცხოვრებელია, მეორე დუშეთის. ორივე დოქტორებია. ერთი – ეკოლოგიაში, მეორე – მეცხოველეობის ბიომრავალფეროვნებაში.

ამ ორს ანაზღაურების განსაკუთრებული მოთხოვნაც აქვთ – 800 ევროზე მეტი თვეში. ყველა დანარჩენი წამსვლელები თანახმა არიან 500 ევროზე (40%) ან 500 აშშ დოლარი (57,5%).

საზღვარგარეთ სამუშაოდ უკვე წასულ ნაცნობ-მეგობრების გამოცდილებით ჩვენს მიერ გამოკითხულები სამუშაოს შოვნას არ თვლიან პრობლემად, რადგან ამ ორი რესპოდენტის გარდა ყველა თანახმაა იმუშაოს ნებისმიერ შემოთავაზებაზე.

კითხვაზე – „თუ აპირებთ წასვლას, რატომ არ მიდიხართ, რა გიშლით ხელს?" – 65%-ს უფულობა დაასახელა, 26,3%-მა მშობლების ავადმყოფობა, 8,7% – ენას სწავლობს და ეს არის მიზეზი.

კითხვაზე – „დაბრუნდებიან თუ არა ისინი მომავალში საქართველოში?" 72,5%-მა სიტუაცია გვიჩვენებსო, – გვიპასუხა.

რესპოდენტების მხოლოდ 5%-მ განაცხადა, რომ როგორი კარგი სამუშაოც არ უნდა შემომთავაზონ საქართველოში, მაინც წავალ აქედან, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში წესრიგი არასოდეს არ დამყარდებაო, 95%-მა კი განაცხადა, რომ თვეში, მის ოჯახს რომ ქონდეს 2-3 ათასი ლარი, არსადაც არ წავა და არ მოწყდება თავის ოჯახს.

ცხოვრება ადასტურებს, რომ გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია. ცხადია, მისგან შორს ვერც საქართველო დადგება, მაგრამ იგი მასში უნდა ჩაერთოს თავისი ტრადიციული ფასეულობებით, ზნეობრივი ნორმების შენარჩუნებით. ეს რომ მოხდეს, საჭიროა მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, მისი განმტკიცება და მეტად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობის მასიური დასაქმებისთვის, მათი ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

დასკვნა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არის საკმაო რესურსი იმისა, რომ მოსახლეობამ დაიწყოს მცირე ბიზნესი. იქ არის მეფუტკრეობის განვითარების კარგი პირობები, ოჯახურ სასტუმროებზეც დიდია მოთხოვნილება და მრავალი სხვა. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოაწესრიგოს ინფრასტრუქტურა. თუ ეს ღონისძიებები არ განხორციელდა ეს საზღვრისპირა რაიონი დაიცლება მოსახლეობისგან.

THE RESEARCH OF MIGRATION ATTITUDE OF MTSKHETA-MTIANETI POPULATION

ANI KIMADZE
Doctoral of GTU
E-mail: kimadzeani@yahoo.com

S U M M A R Y

The article describes Mtskheta-Mtianeti region as one of the backward regions of development. This region occupies 9,2% of the territory of Georgia and lives only in 109.7 thousand people. The region is distinguished by a large number of small villages. The population of the region is mainly self-employed.

Small business in the region's business is 30%. The study provides a survey of the population of Mtskheta-Mtianeti region about whether they intend to engage in business in Georgia and stay in Georgia if they think about going abroad. The survey found that despite the fact that villages in the region have small business development opportunities - opening a family hotel, the bee is over and 34% of respondents are now ready to go for 58% abroad to leave. The author makes the conclusion that Mtskheta-Mtianeti is already less populated and if the population still abroad goes abroad then the region will be emptied into a mine. The author advises the local government of Mtskheta-Mtianeti to receive migration measures.

Key words: business; Small Business; Migration; Migration preparation.